

წინამდებარე ელექტრონული თანხმობით ნაბაყოფლოებით ვანიჭებ უფლებას სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგს" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404476189; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ბ. კვერნაძის ქუჩა #10) (შემდგომში „ალდაგი“):

ა) ალდაგის მიერ შესაბამისი სახელმეკრულებო ან/და საკანონმდებლო ვალდებულების ან/და შესაბამისი შემოთავაზების შესრულების მიზნით დაამუშავოს ჩემი პერსონალური, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, ხოლო სადაზღვევო მომსახურების შეთავაზების/ ხარისხის ან/და დაზღვევასთან დაკავშირებული კვლევის მიზნით დაამუშავოს წინამდებარე განაცხადში მითითებული პერსონალური მონაცემები.

ბ) წინამდებარე განაცხადის საფუძველზე გადაცემული ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადოს იმ პირისათვის რომლებსაც ასეთ ინფორმაციაზე წვდომა ესაჭიროებათ მათი მოვალეობების შესრულებისათვის ან/და ალდაგის მიერ მისი შესაბამისი სახელმეკრულებო ან საკანონმდებლო ვალდებულებების შესრულებისათვის.

გ) პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დაამუშავოს ჩემ მიერ მოწოდებული ინფორმაცია (პერსონალური მონაცემები), ასევე გადასცეს აღნიშნული მონაცემები დაკავშირებულ (აფილირებულ), ურთიერთდამოკიდებულ კომპანიებს/პირებს იგივე მიზნებისთვის.

დ) ალდაგის ხელთ ჩემზე არსებული ან/და ჩემ მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი ინფორმაცია, ჩემთან ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების თუ თანხმობის გარეშე გადასცეს სს "კრედიტინფო საქართველოს" (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის #06/5-51, საიდენტ. #204470740), რაც იწვევს ჩემს აღრიცხვას "კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში.

ამასთან, ვადასტურებ, რომ:

ე) წინამდებარე განაცხადით ჩემი პერსონალური, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების ჩემ მიერ ალდაგისათვის მიწოდებას ვახორციელებ ნებაყოფლობითი თანხმობის საფუძველზე,

ვ) მივიღე სრული ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების და ჩემი, როგორც მონაცემთა სუბიექტის კანონმდებლობით - "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით მონიჭებული უფლებების, კერძოდ, მონაცემთა დამუშავებისგან ჩემი მონაცემების დამუშავების თაობაზე ინფორმაციის მიღების, მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის, წაშლის და განადგურების თაობაზე.